

მუხლი 10. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს კოლეჯის სტრატეგიული განვითარების შესახებ და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მონიტორინგსა და შეფასებას უკეთებს კოლეჯის სტრატეგიული განვითარების დინამიკას.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ახორციელებს ღონისძიებებს სასწავლო მუშაობის ხარისხის სისტემური სრულყოფისათვის, ზრუნავს კოლეჯის მეთოდებისა და რესურსების, აგრეთვე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, ხარისხის სისტემატურ შეფასებასა და მის განვითარება-განახლებაზე.
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ხარისხის განვითარებისა და მართვის მიზნით კოლეჯის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან აქტიური კოორდინაციის მეშვეობით ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:
 - ა. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება;
 - ბ. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემის განსაზღვრა, მონიტორინგი და პერიოდული შეფასება;
 - გ. სტუდენტთა შეფასების ფორმების, სასწავლო პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების (კითხვარების, დანართების და სხვ.);
 - დ. პროგრამის განმახორციელებელ პირთა ხარისხის უზრუნველყოფაზე ზრუნვა;
 - ე. კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამის და მოდულისათვის წაყენებული მოთხოვნების განსაზღვრა;
 - ვ. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად შესაბამის პოლიტიკისა და კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასების პროცედურების შემუშავება;
 - ზ. პერიოდულად საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის განხორციელება და რეკომენდაციების შემუშავება მათი გაუმჯობესებისათვის;
 - თ. კოლეჯის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად მონაწილეობის მიღება პროგრამის განმახორციელებელი პირების დაკომპლექტების, დატვირთვის განსაზღვრის, პროფესიული სტუდენტთა მობილობის სისტემის სწორი გამოყენების რეგულაციაში;
 - ი. პროგრამის განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებებში მონაწილეობა;
 - კ. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციისათვის თვითშეფასების პროცესის განხორციელება და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება.
 - ლ. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგად რეკომენდაციებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ ისრულყოფის მიზნით.
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი უფლებამოსილია კოლეჯის ხარისხის განვითარების გაუმჯობესების მიზნით დირექტორს წარუდგინოს წინადადება ექსპერტების/სპეციალისტების მოწვევის შესახებ.